ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ52. 522303931**

თარიღი:**08/02/2023**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, იმავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 დეკემბრის N16 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს ანაზღაურების გარეშე სტაჟირება შემდეგ სამსახურებში:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეული იურიდიული სამსახური - მიღებულ იქნას 3 (სამი)სტაჟიორი;

ბ) პირველადი სტრუქტურული ერთეული ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური - მიღებულ იქნას 3 (სამი) სტაჟიორი.

2. სტაჟირების გამოცხადების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. სტაჟირების გავლისთვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 დეკემბრის N16 დადგენილების პირობებს.

4. სტაჟირების გამოცხადების უზრუნველყოფა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

5. ბრძანების შესახებ ეცნობოთ დაინტერესებულ პირებს.

6. ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ც დადიანის ქ N15)

ავთანდილი გულიკაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი